ლელო

№ 4-5
(10 663)
18 იანვარი,
შაბათი,
1992 წ.
ფასი 20 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ოქრო—დავით ხახალეიშვილს, ვერცხლი—ვლადიმერ დგებუაძეს

ტოკიო. „შორიკის თასი“ — ასე ეწოდება ძიუდოისტთა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტურნირს ამომავალი მზის ქვეყანაში. ამ შეჯიბრების ავტორიტეტი, უმთავრესად, მონაწილეთა სიძლიერეზეა დამყარებული და გასაკვირი არაა, რომ სხვადასხვა ქვეყნები, არაფერი რომ ვთქვათ მასპინძლებზე, საასპარეზოდ თავის საუკეთესო ათლეტებს აგზავნიან.

წლევანდელ ტურნირში, რომელიც ახლახან დამთავრდა სხვებთან ერთად გამოდიოდა ჩვენი ორი თანამემამულე — ქუთაისელი დავით ხახალეიშვილი და სოხუმელი ვლადიმერ დგებუაძე. ხახალეიშვილმა შარშან თავი გამოიჩინა ბარსელონის მსოფლიო ჩემპიონატში. ოლიმპიადის ქალაქში მან ყველა მეტოქეს აჯობა, ერთადერთი მარცხი განიცადა ფინალში მომავალ მსოფლიო ჩემპიონთან ნ. ოგავასთან და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამჯერად ხახალეიშვილის მჯობნი არავინ აღმოჩნდა და მან ოქროს მედალი დაისაკუთრა აბსოლუტურ კატეგორიაში.

ადგილობრივ სპეციალისტებზე ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა მეორე ქართველმა ძიუდოისტმა, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა ვლადიმერ დგებუაძემ. მაშინ ვლადიმერი დამარცხდა იაპონელ ტ. კოგასთან და ვერ გავიდა ფინალში. წლეულს დგებუაძე ფინალში ასპარეზობდა და მთავარი პრიზი ისევ იაპონელთან დათმო. ქართველ მოჭიდავეს ვერცხლის მედალი ერგო, ოქრო კი მასპინძელთა გუნდის წევრს იოშიხიდე ცუხიეს დარჩა.

სურათზე: დავით ხახალეიშვილი.

საჩუქრად ავტომანქანა „ჟიგული“

კრასნოიარსკი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში („იენისეისკი“) გაიმართა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა თხუთმეტი ქვეყნის ორასზე მეტი ათლეტი. შეჯიბრება ატარებდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ივანე იარიგინის სახელს და გარდა ყველაფრისა, საინტერესო იყო იმით, რომ აბსოლუტურ წონაში გათამაშდა საკმაოდ ძვირფასი პრიზი — „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანა. პრიზი მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა ქვემძიმე წონაში, თბილისელმა ლერი ხაბელოვმა, რომელმაც აჯობა ორ სხვა მეტოქეს, მძიმე წონის ათლეტებს — გ. ქილცოვსა და მ. ვალიევს.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვება მოიპოვეს: ვ. ორუჯევმა (გომელი), ს. ზამბალოვმა (ულან-უდე), კ. კემპბელმა (აშშ), გ. აზიზოვმა (მახაჩყალა), ბ. ბუდაევმა (ულან-უდე), მ. გაჯიევმა (მახაჩყალა), რ. ქელეხსაევმა (ვლადიკავკაზი), დ. თედეევმა (მოსკოვი), ლ. ხაბელოვმა (თბილისი) და მ. ვალიევმა (მოსკოვის ოლქი).

სურათზე: ლერი ხაბელოვი.

სასტუმრო „თბილისი“, ისევე, როგორც რუსთაველის გამზირზე დანგრეული სხვა ნაგებობები, საერთო ძალისხმევით აღდგება.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ გახსნა სასტუმრო „თბილისის“ აღდგენის ფონდი. ანგარიშის ნომერია

000141007

კოდი 521017, საქსოცბანკის საოპერაციო სამმართველო. მიუთითეთ: „სასტუმრო „თბილისის“ აღდგენისათვის“.

საქართველოს რესპუბლიკის ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციამ 20 ათასი მანეთი ჩარიცხა სასტუმრო „თბილისის“ აღდგენის ფონდში.

◆

ბარსელონა-92

მოვლენები იცვლება— მზადების პროცესი უცვლელია

ბარსელონაში ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ცოტა დრო რჩება, პრობლემები კი, როგორც იტყვიან, თავზე საყრელი აქვს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ) და მის პრეზიდენტს ბატონ ხუან ანტონიო სამარანჩს.

ეს პრობლემები, ცხადია, მხოლოდ ყოფილ სსრ კავშირთან არაა დაკავშირებული. იგი თანაბრად ეხება თითქმის ყველა ქვეყანას, სადაც პოლიტიკური გარდაქმნები მოხდა ბოლო ხანებში და ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა.

ამთავითვე შევნიშნავთ, დაპირისპირება და სწრაფვა სპორტული დამოუკიდებლობისკენ, ჯერ კიდევ ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველმა დაიწყო საქართველომ (შეგახსენებთ, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები თავიანთი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების აღდგენისათვის იბრძოდნენ). მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ სავსებით დაადასტურა ჩვენი გზის სისწორე. მეტიც, ის, რაც დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩვენგან რადიკალურ და უპერსპექტივო მოთხოვნად მიაჩნდათ, მერე, რომელიღაც ეტაპზე, ისევ და ისევ პროცესების განვითარების ლოგიკურ შედეგად, სადავო აღარ ჩანდა.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი არ ურიგდებოდა არავითარ დათმობას, თუ ეს არ ახლოებდა დასახულ მიზანს. თვალი გადავავლოთ მხოლოდ ბოლო თვეების მოვლენებს, როცა ჩვენი აზრით, ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო, კერძოდ, 1991 წლის ნოემბრის მეორე ნახევრიდან.

ერთი ხანობა ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნებოდა, თითქოს საკავშირო ოკს სურდა დიპლომატიური თამაშიდან გამოეთიშა მეამბოხე საქართველო. ეჭვი განსაკუთრებით გაძლიერდა 21 ნოემბერს, მოსკოვში გამართულ ეოკების წარმომადგენელთა სხდომაზე. ჩვენმა მოთხოვნებმა, რაც იმ პერიოდისათვის აშკარად რადიკალური იყო და რის შემდეგაც თითქმის მთლიანად შეიცვალა სხდომაზე წარმოდგენილი კომუნიკე ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ვარიანტი, აშკარად საგონებელში ჩააგდო ყოფილი სსრ კავშირის ოკი. თანაც სხდომაზე ამის მოწმე გახლდათ თვით სოკის ოფიციალური წარმომადგენელი ფ. კარარი. აშკარად ჩანდა, რომ ასე თუ ისე, ყველას დაყოლიება შეიძლებოდა, გარდა საქართველოსა. ერთი სიტყვით, უთქმელადაც გასაგები იყო საქართველოს ეოკის გზიდან ჩამოშორების სურვილი. ეს თანაბრად აძლევდა ხელს, როგორც საკავშირო ოკს, ისე სოკს. ვიდრე პროცესი შორს წავიდოდეს, დიპლომატიური სვლებით ცდილობენ ბოლომდე მის შეჩერებას. საკავშირო ოკისა და სოკის წარმომადგენლები, ვატყობდით, თანახმა იყვნენ, თუნდაც, ახლავე აღეთქვათ საქართველოს სოკისათვის დახმარება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში დამოუკიდებლად გაწევრიანებაში. ოდნავ მოგვიანებით, პირველი ნაბიჯი მართლაც გადაიდგა. საკავშირო ოკმა აღიარა საქართველოს სეოკის დამოუკიდებლობა და ჩვენი გაწევრიანების თხოვნით შევიდა სოკში. ეს პროცედურა მაშინ აუცილებელი იყო და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, როგორც იურიდიულ ნაბიჯს. ნოემბერში, მოსკოვში გამართული იმ თათბირის შემდეგ მოულოდნელად ბევრი რამ შეიცვალა — ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა შექმნეს დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობა, სადაც საქართველო არ შევიდა. თავს ნუ მოვიტყუებთ, თითქოს სპორტი და პოლიტიკა უხილავი თუ ხილული გზებით ერთმანეთთან არ არის გადანასკვული.

თანამეგობრობის შექმნით, კიდევ ერთხელ ყველაფერი თავდაყირა დადგა. შედეგი: ახლახანს შეიქმნა თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების ეოკების პრეზიდენტთა საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ყოფილი სსრ კავშირის ეოკის პრეზიდენტი და სოკის ვიცე-პრეზიდენტი ვ. სმირნოვი. საქართველოს ეოკის წარმომადგენლებს იმ შეკრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

პრეზიდენტთა საბჭოს ნდობით, ვ. სმირნოვი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ლოზანაში სამარანჩთან შესახვედრად. როგორც სამშაბათს, 14 იანვარს, შვეიცარიიდან მიღებული ცნობით შევიტყვეთ, ამ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, ყოფილი საბჭოთა სპორტსმენები, ალბერვილში გამოვლენ ერთიანი გუნდით (და არა გაერთიანებული — თუმცა, პრესაში სიტყვა „გაერთიანებულიც“ გამოჩნდა). გამოვლენ ერთნაირი ფორმებით, მაგრამ შეუძლიათ მკლავზე გაიკეთონ თავიანთი ქვეყნის გერბი, ალუმზე გამოვლენ ოლიმპიური დროშით და ამ დროშას აღმართავენ, თუ სპორტსმენი დაიკავებს პირველ ადგილს, გამარჯვებულთა პატივსაცემად ოლიმპიური ჰიმნი აჟღერდება.

ეს ყველაფერი შეეხება ზამთრის ოლიმპიადას, რომელიც ჩვენ თითქმის არ გვაღელვებს. როგორღაა საზაფხულო ოლიმპიადის საქმე? სამარანჩთან შეხვედრისას, ცხადია, საუბარი იყო ბარსელონაში სპორტსმენთა გამოსვლის საკითხზეც. მოვუსმინოთ სმირნოვს, რომელმაც ინტერვიუ მისცა კორესპონდენტებს ამ შეხვედრის შემდეგ: „ზაფხულის ოლიმპიადის საკითხს საბოლოოდ განვიხილავთ 9 მარტს, ისევ ლოზანაში“. აქვე დავძენთ, რომ, სამარანჩი 18 იანვარს მოსკოვში ჩავა და ბევრ სადავო საკითხს ალბათ, აქაც მიუბრუნდებიან. თუმცა, როგორც ახლა გაირკვა, ოფიციალურად ამ ვიზიტს უკავშირებენ სამარანჩის შეხვედრას ბ. ელცინთან. რუსეთის პრეზიდენტმა, ალბათ გახსოვთ, ჯერ კიდევ ადრე, ერთ-ერთი ტელეხიდის დროს, მ. გორბაჩოვისაგან განსხვავებით, მხარი დაუჭირა თამაშებში ერთიანი საბჭოთა გუნდით მონაწილეობას.

რა პოზიციას დაიკავებს ახლა რუსეთის პრეზიდენტი და როგორ უნდა შეფასდეს მისი გადაწყვეტილება, საქართველოს ეოკის ინტერესებთან მიმართებაში? ამასაც მალე შევიტყობთ. რაც შეეხება თანამეგობრობის ქვეყნების პოზიციას, არა გვგონია, აქ რაიმე სამარჩიელო იყოს, თუ უკრაინის ან მოლდოვას წარმომადგენლებმა არ გამოთქვეს განსხვავებული აზრი.

როგორი შეიძლება იყოს საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის პოზიცია? მიუხედავად იმისა, რა შედეგს მოიტანს მოახლოებული მაღალი დონის შეხვედრები, სეოკის ალმასკომის მიზანი უცვლელია — იბრძოლოს სოკის მიერ ჩვენი ეოკის აღიარებისათვის და მიიღოს ბარსელონაში დამოუკიდებელი გუნდით გამოსვლის უფლება. ასეთია პროგრამა-მაქსიმუმი. მაგრამ აქვე ისმის კითხვა, ვიდრე ყველაფერი გაირკვევა, შეუშლის თუ არა ეს პოზიცია ხელს ჩვენს ათლეტებს თამაშებისთვის მზადებაში? არ უნდა შეუშალოს. საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, ჩვენი სპორტული ფედერაციები, არ შეუწყვეტიათ სპორტსმენთა მზადებაზე ზრუნვა და ახლა ეს პროცესი სრული პასუხისმგებლობით, გეგმაზომიერად მიმდინარეობს.

უნდა ვემზადოთ!

თენგიზ გაჩეჩილაძე

ტრაგედიის ექო

ერთი 256-დან

იმ 256 უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახიდან ერთ-ერთი საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, წარსულში ცნობილი მოჭიდავის გიორგი როსტიაშვილის ოჯახი გახლავთ. იგი ძმები ზუბალაშვილების (ყოფილი ათარბეგოვის) ქუჩის ნომერ 11-ში ცხოვრობდა, უზენაესი საბჭოს შენობის მახლობლად. ჩვენი „სტუმრობის“ დროს ბატონ გიორგისთან დაგვხვდნენ მისი ძველი მეგობრები: ქრისტეფორე ნინიაშვილი, ვახტანგ იოსელიანი, მარლენ ოსიყმაშვილი; მალე მოვიდნენ მისი ყოფილი აღსაზრდელებიც — ნოდარ მოდებაძე და რომან მარსაგიშვილი.

როგორ მოხდა ყოველივე ეს?

— როდესაც დაიწყო არეულობა, ვიფიქრე, ყოველივე მალე დამთავრდებოდა — გვიამბობს **გ. როსტიაშვილი** — მაგრამ სროლა გრძელდებოდა და იძულებული გავხდი ჩემი ოჯახიდან გამეხიზნა ბავშვები და ქალები. დავრჩით მე და ჩემი ორი ვაჟი. სახლს ვდარაჯობდი ხანძრისაგან. ცეცხლი ჯერ მეზობელ შენობას წაეკიდა მთავრობის სახლიდან სროლის შედეგად, 30 დეკემბერს დაახლოებით დღის თორმეტ საათზე კი უკვე ჩვენი სახლის სახურავსაც მოედო ალი. საღამოს ექვს საათამდე ვებრძოდით მე და ჩემი ბიჭები ცეცხლს, სახლის სახურავზე ვიყავით ტყვიების ქვეშ. სროლა არ წყდებოდა. ვემუდარებოდი შვილებს, წავიდეთ-მეთქი, მაგრამ ვინ დაგი-

ის. მე-2 გვ.

ფიზიკური კულტურა, სპორტი, ტურიზმი

მოკლე ცნობები

- 80 წლის ჰოლანდიელმა ქალმა ვილჰელმინა იოლინკპარიდანმა თავის დაბადების დღე 3000 მეტრი სიმაღლიდან პარაშუტით გადმოხტომით აღნიშნა. ეს იყო მისი პირველი ნახტომი. გაბედულ მოხუცს დაზღვევაზე ახლდა პარაშუტისტი შვილიშვილი.
- **ფიფამ და უეფამ** გადაწყვიტეს, სცნონ დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის საფეხბურთო ასოციაცია, როგორც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მემკვიდრე. შეგახსენებთ, ასოციაცია 11 იანვარს შეიქმნა მოსკოვში. ასოციაციას უფლება მიეცა, 17 იანვარს მონაწილეობა მიიღოს ევროპის ჩემპიონატის წილისყრაში. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ყველა ფეხბურთელს მიეცა უფლება, ითამაშოს თანამეგობრობის ნაკრებში. მოგვიანებით გადაწყდება, თუ რომელი დროშით იასპარეზებს ეს ნაკრები.
- **თანამეგობრობის** ქვეყნების ჰოკეის სპეციალისტების კონფერენციაზე შეიქმნა ჰოკეისტთა პროფესიული ლიგა, რომელიც ახალი სეზონიდან ჩაატარებს ლიგის პირველობას 20 გუნდის მონაწილეობით. საწყისი საწევრო შესატანია 100 ათასი მანეთი თითოეული კლუბიდან, სავალდებულოა ბავშვთა სპორტსკოლის შექმნა კლუბთან.
- **„ადამიანი** რაც უფრო მაღალია, ნაკლებია გულის დაავადების რისკი“ — ამბობენ ბოსტონელი მედიკოსები. მამაკაცები, რომელთა სიმაღლე 170 სმ-ზე დაბალია, უფრო ხშირად ავადდებიან გულით, ვიდრე ისინი, ვინც მათზე თუნდაც 15 სმ-ით მაღალია. დაბლებისათვის დაავადების რისკი 70 პროცენტია, ყოველი 2,5 სმ კი ალბათობას 8 პროცენტით ამცირებს.
- **თუ თქვენ** დიდხანს დგახართ ტრანსპორტის მოძრაობით გაჯერებული მაგისტრალის გაჩერებაზე, ბავშვი აიყვანეთ ხელში. გამონაბოლქვი შხამები მიწიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე კონცენტრირდებიან და ამიტომ, პირველ ყოვლისა, საფრთხეში ვარდება ბავშვის ჯანმრთელობა.
- **კომერციული** ტურიზმის განვითარებამ თავისი უარყოფითი შედეგიც გამოიღო — თურმე ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს ყოველწლიურად უცხოეთში 1,5 მილიარდი დოლარი და... 28 მილიონი ლიტრი არაყი გააქვთ.
- **კვიპროსში** უცხოური ვალუტის შეტანა განუსაზღვრელია. დეკლარაცია აუცილებელია, თუ თანხა აღემატება 1000 ამერიკულ დოლარს და 50 კვიპროსულ ფუნტს. ტურისტებს ვაუწყებთ იმასაც, რომ კუნძულის საბერძნეთის ნაწილში გადაადგილება თავისუფალია.

გზა ხსნილია!

საქართველოს რაგბის კავშირი ფირას წევრია

— საქმე გასრულდა და სასიკეთოდ დამთავრდა — საქართველოს რაგბის კავშირი ფირას — სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაციის — სრულუფლებიანი წევრია! — გვამცნო საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა რაგბიში ზურაბ რეხვიაშვილმა, რომლის სტუმრობას რედაქციაში მოუთმენლად ველოდით. ბატონი ზურაბი ამ სიახლის „მთავარი მოქმედი პირია" — მას შემდეგ, რაც საქართველოს რაგბის ფედერაცია გამოეყო საკავშიროს, სტატუსიც შეიცვალა, სახელიც (დამოუკიდებელი გახდა, რაგბის კავშირად იწოდა) და ფირაში გაწევრიანებას ცდილობს. ზურაბ რეხვიაშვილს, ფაქტობრივად, ჩვენი რაგბის საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენლის მისია დაეკისრა ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობაში.

ზურაბ რეხვიაშვილი.

— დაახლოებით ორი წელია, ფირას „კარზე ვაკაკუნებთ" — გვიამბობს ზურაბ რეხვიაშვილი — ჯერ ნიადაგი მოვსინჯეთ და შევამზადეთ, შემდეგ კი აქტიური მოქმედების დროც დადგა. ვინაიდან ფირას არბიტრი გახლავართ და ხშირად მიწევს მისი ეგიდით გამართულ შეხვედრათა მსაჯობა, ამ ფედერაციის ხელმძღვანელებთან „დიპლომატიური კავშირის" დამყარება მე დამეკისრა. აქტიური მოქმედების დრო რომ ვახსენე, შარშანდელი წლის მიწურულს ვგულისხმობდი — 29 ნოემბერს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბატონმა ნუგზარ ენდელაძემ ტელექსით გაგზავნა თხოვნა პარიზში, ფირას შტაბბინაში, „ჩვენს კავშირს სურს გაწევრიანდეს თქვენს ორგანიზაციაში და იასპარეზოს ფირას ეგიდით გამართულ ყველა შეჯიბრებაში". ადრინდელისაგან განსხვავებით, როცა „ფირას მამები" ცოტა არ იყოს ალმაცერად უყურებდნენ ამ ფედერაციაში ჩვენს დამოუკიდებლად გაწევრიანების საქმეს, პასუხი ამჯერად, 2 დეკემბერს, დამაიმედებელი მივიღეთ — საკითხის განსახილველად 7 დეკემბერს გვეპატიჟებოდნენ პარიზში, ფირას კონგრესზე. მიზეზი იოლი მისახვედრია — პოლიტიკური ვითარება სწრაფად იცვლებოდა. დროის სიმცირის გამო საბუთების გაფორმება და პარიზში გამგზავრება ვერ ესწრებოდა, ამიტომ ისევ ტელექსით ვთხოვეთ ფირას ხელმძღვანელობას, მოგვიანებით გვემსჯელა ამ საკითხზე. შემდგომ ისიც შევიტყვეთ, რომ 7 დეკემბერს კონგრესზე განუხილავთ საქართველოსა და უკრაინის თხოვნა ფირაში გაწევრიანების თაობაზე და წინასწარ დაყაბულებულან კიდეც. საჭირო იყო მხოლოდ საქმის ფორმალური მოგვარება — ოფიციალური თხოვნა-წერილის გადაცემა. ერთი სიტყვით, დასტური მიღებული იყო, კარგა ხნის გარჯა-მცდელობა ჩვენს სასიკეთოდ სრულდებოდა. 27 დეკემბერს ჩავფრინდი პარიზში. აეროპორტში ფირას წარმომადგენელი დამხვდა და წამიყვანა შტაბბინაში, რომელიც ქალაქის საკმაოდ პრესტიჟულ რაიონში მდებარეობს. პირველმა ფირას გენერალურმა მდივანმა მარსელ მარტინმა მიმიღო. მითხრა, ვაღიარებთ საქართველოს რაგბის კავშირს, როგორც სუვერენულს. ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციას და სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ მზად ვართ მივიღოთ ჩვენს რიგებში. ორი დღის მერე, 30 დეკემბერს ბატონ მარტენს გადავეცი ჩვენი კავშირის ოფიციალური თხოვნა, რომელსაც მან დასტურის ნიშნად ბეჭედი დაუსვა და სწორედ ამ დღიდან გახდა საქართველოს რაგბის კავშირი სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაციის წევრი. ჩემი პარიზში გამგზავრების მიზანი ისიც გახლდათ, რომ გვაინტერესებდა გაგვეგო, კონკრეტულად რა გზით, რა დონეზე გადაწყდებოდა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ჩართვა ფირას ჩემპიონატებში. მოგეხსენებათ, ადრე ამ შეჯიბრებაში გამოდიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელიც უძლიერეს, „ა" ჯგუფში ასპარეზობდა. ამ ჯგუფის გარდა ფირას ჩემპიონატი თამაშდება „ბ" და „ც" ჯგუფებშიც. ცხადია, აქ უფრო სუსტი გუნდები გამოდიან. ჩვენც სწორედ იმის გაგება გვსურდა, რომელ ჯგუფში მოგვიჩენდნენ ადგილს. ჩემთვის ცნობილი იყო, რომ რუსეთის ფედერაციამ, აქაოდა საბჭოთა კავშირის ფედერაციის მემკვიდრე გახლავართო, ფირას ხელმძღვანელებს სთხოვა, უძლიერეს ექვსეულში ანუ „ა" ჯგუფში ადგილი მე დამიტოვეთო. ამ აზრს ფირაში თავდაპირველად დაყაბულდნენ, მაგრამ, ცხადია, მოვლენათა ასეთ განვითარებას არ ვეთანხმებოდით ჩვენ და უკრაინის რაგბის ფედერაცია, რომლის ნდობით აღჭურვილ პირს ამ მოლაპარაკებაზე მე წარმოვადგენდი. ამიტომაც ბატონ მარტენს შევთავაზე ალტერნატიული და ნამდვილად სამართლიანი ვარიანტი: ჯერჯერობით ვაკანტურად დაეტოვებინათ ყოფილი საბჭოთა კავშირის ადგილი „ა" ჯგუფში და ფირას ხუთ ახალ წევრს — რუსეთს, როგორც სსრკ-ს მემკვიდრეს, ლიტვას, ლატვიას, საქართველოს და უკრაინის ფირას ეგიდით ჩაეტარებინათ ერთგვარი შესარჩევი ტურნირი. გამარჯვებული დაიკავებს ყოფილი საკავშირო ნაკრების ადგილს „ა" ჯგუფში, მეორე-მესამე ადგილებზე გასულნი „ჩაირიცხებიან" „ბ" ჯგუფში, ის გუნდები კი, რომლებიც ბოლო, მეოთხე-მეხუთე ადგილებს დაიკავებენ, იასპარეზებენ „ც" ჯგუფში. ეს ვარიანტი მართლაც სამართლიანად და ოპტიმალურად მიიჩნიეს, ისიც თქვეს, ჩვენთვისაც ხელსაყრელია, თვალნათლივ დავრწმუნდებით ძალთა თანაფარდობაშიო. მოსაუბრეთ ისიც მოვახსენე, რომ თბილისი სიამოვნებით უმასპინძლებდა ამ ტურნირს. ამ წინადადებასაც კმაყოფილებით შეხვდნენ. მარსელ მარტენმა განაცხადა, რომ იგი აუცილებლად დაესწრება ამ შეჯიბრებას თბილისში და თან რუმინელ და ფრანგ არბიტრებს იახლებს. ტურნირის გამართვას ვვარაუდობთ მაისის მეორე ნახევრისთვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფირას ჩემპიონატში გამოსვლა ჩვენს მორაგბეებს გზას გაუხსნის მსოფლიო თასის მესამე გათამაშებისკენ, რადგან ბატონ მარტენის ცნობით, ფირას 1992-93 წლების ჩემპიონატი განიხილება როგორც მსოფლიო თასის (რომელსაც რაგბის უფრო ავტორიტეტული საერთაშორისო ფედერაცია — ირბ — ატარებს) შესარჩევი ტურნირი. ლაპარაკი იყო აგრეთვე საქართველოს ნაკრების 20 წლამდე ასაკის ფირას ჭაბუკთა ჩემპიონატში გამოსვლის თაობაზეც. წელს ეს ტურნირი, ერთობ პრესტიჟული და საინტერესო, ტარდება მადრიდში, სააღდგომო არდადეგების დღეებში და თუ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები შეძლებს საჭირო რაოდენობის ვალუტის მოპოვებას, ამ შეჯიბრებაში მის გამოსვლას არაფერი უდგას წინ.

ერთი 256-დან

(დასასრული)

ჯერა — იქნებ რაიმე გადავარჩინოთო. ვერაფრის გამოტანა ვერ შევძელით. რომც გამოგვეტანა, სად წავიღებდით აბა იმ სროლა-უბედურებაში. ბოლოს მაინც მივატოვეთ იქაურობა. ტყვია ჩემს უმცროს შვილს მოხვდა და მძიმედ დაიჭრა გვერდში. სისხლისაგან იცლებოდა ქუჩაში. საბედნიეროდ, სასწაულად სახლში დარჩენილმა მეზობელმა შეგვიკედლა, ჩემს შვილს პირველადი დახმარება აღმოუჩინეთ და, ფაქტიურად, სიკვდილს გამოვგლიჯეთ ხელიდან. ღამე იმ კეთილ მეზობლებთან გავატარეთ თეთრად... ახლა ბიჭი რესპუბლიკურ საავადმყოფოში წევს, თავს უკეთ გრძნობს. ავადმყოფი მეუღლე მყავს დიღმის მასივში გახიზნული ნათესავებთან. ერთი შვილიშვილი ახლა გლდანშია ნაცნობმეგობრებთან, მეორე — გორში, უფროსი შვილი და რძალი საავადმყოფოში თავზე ადგანან დაჭრილს. პირადად მე ჩემს დაზარალებულ მეზობლებთან ერთად დროებით თავი შევაფარე ბახტრიონის ქუჩაზე ერთ დაუმთავრებელ ბინას. აქ, ცხადია, არავითარი პირობები არ არის, მაგრამ ვაი რომ აქედანაც გაგვდებენ.

... აშკარად უჭირდა საუბარი და ყველაფრის გახსენება ბატონ გიორგის — 71 წლის კაცს. დროდადრო ცრემლიანი თვალებით ათვალიერებდა თავის დამწვარ სახლს, უფრო ზუსტად — ნასახლარს, სადაც თითქმის მთელი სიცოცხლე გაატარა. აგერ დანახშირებული პირის საპარსი, კედლის თაროში დარჩენილი უმოწყალოდ დამწვარი წიგნები, შვილიშვილის საყვარელი პიანინოს ნარჩენებიც...

გადარჩა (მართლაც საოცარია) მხოლოდ ერთი სტაფილოსფერი სავარძელი და... ალბათ, იმედი იმისა, რომ სიცოცხლე კვლავ გაგრძელდება.

ბია ბურდული

ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა

გული თუ გულობს,...

60-70-იანი წლები საქართველოში მაგიდის ჩოგბურთის აღმავლობის ხანად ითვლება და სამართლიანადაც. სწორედ ამ პერიოდში სარბიელზე გამოდიოდნენ სარქის სარხოიანი, სიმელა პარფინიდი, თეიმურაზ რამაზაშვილი, გიორგი მელაძე და სხვები. სპორტის ამ ოსტატებს საერთაშორისო ასპარეზზეც არაერთხელ გამოუჩენიათ თავი. თუმცა, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

● **როგორ ფიქრობთ, ჩვენი სპორტსმენები კიდევ რამდენ ხანს იქნებიან „ჩრდილში"?** — ვკითხეთ მაგიდის ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ჯემალ მელაძეს:

— ვინც თვალს ადევნებდა რესპუბლიკის სპორტულ თამაშებს, დაგვეთანხმება, რომ კარგი ჩოგბურთელები გვეზრდება. საერთაშორისო სარბიელზე თუ გავაღწიეთ, თავს არ შევირცხვენთ. დიდ იმედებს ვამყარებთ ბათუმელ გოგოებზე. როგორც იცით, თამაშებზე აჭარის გუნდიდან დიანა ჩარგეიშვილი და მადლენა ქლენტი ერთეულთა თანრიგში შესაბამისად II და III ადგილებზე გავიდნენ. თერთმეტი წლის ვერიკო ბარამიძემ კი VI ადგილი დაიკავა. ამ ნორჩმა სპორტსმენმა ეროვნული თამაშების შემდეგ ნიჟნი ნოვგოროდის ღია ტურნირზეც იყოჩაღა — ოცდახუთი (!) თანატოლი დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ვაჟებში დღესდღეობით უძლიერესია თბილისელი პაატა ფირცხალავა. იგი ახალგაზრდებს შორის მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. ცხადია, თამაშებზეც პირველი იყო. უმცროსი ასაკის სპორტსმენებიდან გამოირჩევიან თბილისელები — ლევან ბურკაძე და დათო სტეფანია, თელაველი აჩიკო იარაძე. რესპუბლიკური თამაშებისთვის უკეთ იყვნენ მომზადებულნი თბილისის, აჭარის, კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონების მაგიდის ჩოგბურთელები. ამას სხვა რეგიონების წარმომადგენლებზე ვერ ვიტყვით.

● **ალბათ, სპორტული ბაზების უქონლობამ თუ შეუშალათ ხელი...**

— არც უმაგისობაა, რადგან მაგიდის ჩოგბურთის სპეციალიზებული დარბაზები მხოლოდ თბილისში, თელავსა და სოხუმში გვაქვს. თუმცა, ხომ გაგიგონიათ, თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო. როგორც აღვნიშნე, თამაშებზე კარგად იასპარეზეს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის ჩოგბურთელებმა. არადა, ამბროლაურელი ენთუზიასტი მწვრთნელი ამირან ჯინჭარაძე ბავშვებს... საკლასო ოთახში ამეცადინებს. შეძლებისდაგვარად შეგირდები თბილისშიც ჩამოჰყავს სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე. ყველა რომ ასეთი მონდომებითა და სიყვარულით ეკიდებოდეს საქმეს, შედეგი ბევრად უკეთესი გვექნებოდა. მართალია, აქამდე სპორტული ინვენტარის ნაკლებობაც გვაფერხებდა, მაგრამ ბოლო დროს ჩვენმა ფედერაციამ პრობლემის მოსაგვარებლად უკვე გადადგა კონკრეტული ნაბიჯები. კერძოდ, ამას წინათ, უკრაინელი კოლეგების დახმარებით ხელშეკრულება დავდეთ შოსტკის ქარხანასთან. იქიდან უკვე შემოვიტანეთ ადგილობრივი წარმოების ოთხი ათასი ცალი მაგიდის ჩოგბურთის ბურთი, რომელმაც აპრობაცია ბარსელონაში გაიარა და სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. შოსტკელები ყოველწლიურად საჭირო რაოდენობის ნაწარმს მოგვაწვდიან. ახლახან ჩეხეთ-სლოვაკეთის ფირმა „მარეკტან" დავამყარეთ ურთიერთობა და მათგან იაპონური წარმოების ხუთი ათას ცალ ჩოგანს მივიღებთ. რაც შეეხება მაგიდებს, ჯერ კიდევ შარშან საკავშირო ფედერაციამ ასი ცალი გამოგვიყო და ისინი რაიონებს გავუნაწილეთ. ასე რომ, წლეულს სპორტული ინვენტარის მხრივ პრობლემები არ უნდა გვქონდეს.

● **მაშ, სიტყვა მხოლოდ მწვრთნელებზე ყოფილა?**

— სამწუხაროდ, კვალიფიციური მწვრთნელები ძალიან ცოტა გვყავს, უმეტესად ენთუზიასტების ამარა ვართ. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად გადავწყვიტეთ, ყოფილი ჩოგბურთელები, რომლებიც აქტიურ სპორტს ჩამოშორდნენ, სამწვრთნელო მუშაობაში ჩავაბათ, სპორტსკოლებში შესაბამისი ჯგუფები ჩავაბაროთ. პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგით. კიდეც: ჩვენი აღზრდილები — ნიკო არჩვაძე და ტანია კორნიენკო მოზარდებთან მუშაობენ, ანაზღაურებაც კარგი აქვთ.

● **სხვა ქვეყნებთან კონტაქტებზე რას იტყვით?**

— დიდი ხანი არ არის, რაც ჩეხეთ-სლოვაკეთისა და პოლონეთის ფედერაციებთან დავამყარეთ კავშირი, მათთან დაიდო ხელშეკრულება ყოველწლიურად დელეგაციების ორმხრივ გაცვლაზე. შარშან, ზაფხულში, კორეელები გვესტუმრნენ, სოხუმში ერთობლივი ვარჯიშები ჩავატარეთ, წლეულს კი საპასუხო ვიზიტით ჩვენ ვეწვევით. ამჯერად, კონტაქტების დასამყარებლად მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ჩინეთის, მალაიზიისა და თურქეთის ფედერაციებთან. მარტში, ჩვენთან სტუმრად ჩამოვა მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, იაპონელი იჩირო ოგიმურა. ვფიქრობთ, ეს ვიზიტი ახალ-ახალი ურთიერთობების დამყარებაში დაგვეხმარება.

● **საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება თუ გიცდიათ?** — ამ შეკითხვით მაგიდის ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდენტს, საქართველოს ფიზკულტურის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ბატონ იური გონაძეს მივმართეთ.

— შარშან, ზაფხულში, საერთაშორისო ორგანიზაციას გაწევრიანების თაობაზე თხოვნა გავუგზავნეთ. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ინგლისელმა ტონი ბრუქსმა გვიპასუხა, რომ საკითხს 1992 წლის გაზაფხულზე განვიხილავთო. ეს მოხდება ბატონ ოგიმურას საქართველოში სტუმრობის შემდეგ. სხვათა შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციაც მზად არის, საერთაშორისო ფედერაციაში გასაწევრიანებლად სარეკომენდაციო წერილიც მოგვცეს. ასე რომ, სულ მალე, შეიძლება დიდი ხნის სურვილი რეალობად იქცეს!

ესაუბრა ვაჟა დანელია.

1991 წლის ბოლო შეჯიბრებები

საქმეში „ჩაერია"... კოეფიციენტი

ადრინდელთან შედარებით, თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა ამიერიდან ახალი სისტემით ეწყობა: თუ ადრე ნახევარფინალურ ეტაპზე ყველა პირველთანრიგოსანს და ოსტატობის კანდიდატს შეეძლო თამაში, ამჯერად შეჯიბრებას კიდევ ერთი ეტაპი, კერძოდ, მეოთხედფინალი დაემატა, სადაც მხოლოდ პირველთანრიგოსნები ასპარეზობდნენ, ნახევარფინალში გასულ მოჭადრაკეებს კი ოსტატობის კანდიდატებიც შეუერთდნენ.

ნახევარფინალურმა ტურნირმა 82 მოჭადრაკეს მოუყარა თავი (შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად წარიმართა) და ფინალის 8 საგზურისათვის ბრძოლაც სწორედ მათ შორის გაჩაღდა.

რთულ და დაძაბულ ასპარეზობაში 8,5-8,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა — გია რაზმაძემ და სერგო მოვსესიანმა. 8-8 ქულით III-VI ადგილები განაწილეს ოსტატობის კანდიდატებმა — თემურ მასხარაშვილმა, იური ნეჩაევმა, მიხეილ კეკელიძემ და პეტრე კუჩეროვმა. დანარჩენი ორი საგზურის მფლობელი კი კოეფიციენტმა გამოავლინა, არადა, 7,5-7,5 ქულა ერთდროულად შვიდმა მოჭადრაკემ დააგროვა (პაატა ვაშაკიძე, დავით შენგელია, კახა ხაბურზანია, მერაბ სალირაშვილი, ბესიკ სხილაძე, ნოდარ გოგაძე, ზურაბ ჩაჩუა), უკეთესი კოეფიციენტით ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს პაატა ვაშაკიძემ და დავით შენგელიამ.

რ. ქარქაშაშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

მეტად საიმედო გამარჯვება

ახლა ლაპარაკი ათათურქის მემორიალურ ტურნირზე კრივში, ცოტა არ იყოს, დაგვიანებულია. გასაგები მიზეზების გამო. შეჯიბრება 17-21 დეკემბერს ჩატარდა თურქეთის დედაქალაქში.

ტურნირი ჩატარდა სამოყვარულო კრივის მსოფლიო ფედერაციის (აიბა) ეგიდით და მას ესწრებოდნენ პრეზიდენტი ჩაუდარი (რუმინეთი) და ევროპის ასოციაციის პრეზიდენტი ბულგარელი ემილ ჟეჩევი.

რაც შეეხება მონაწილეებს, მასპინძლებთან ერთად რინგზე იბრძოდნენ საფრანგეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ჩეჩნეთის, დაღესტნის, რუსეთის, მოსკოვისა და საქართველოს წარმომადგენლები.

აი, ასეთ პრესტიჟულ ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზეს ქართველმა სპორტსმენებმა, რომლებმაც 3 ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. უმაღლესი სინჯის პირველი მედალი თსუ-ს სტუდენტმა, მსუბუქი წონის პაატა გვასალიამ შესძინა გუნდს. მან ჯერ ბულგარელ მ. ვლასოვს სძლია, შემდეგ აშკარა უპირატესობით დაამარცხა მოსკოველი ი. ივლევი, ნახევარფინალში 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონს, ფრანგ მოჟევანს დააყრევინა ფარ-ხმალი, ფინალში კი ქულებით მოუგო ძლიერ ყაზახ მოკრივეს ნ. ნივაზოვეტოვს. მეორე ქვესაშუალო წონის თენგიზ მესხაძემ, რომელმაც ალმავლობით წარმართა ხუთივე შეხვედრა და სძლია დაღესტნელ მ. მამაევს, უკრაინელ ნ. საველევს, ფრანგ მონამედს, თურქ მ. კურნენანს და დაღესტნელ მ. საკიევს. მესამე ოქროს მედალი ზემძიმე წონის ზურაბ სარსანიამ მოუტანა ქართველებს. მის ანგარიშზეა გამარჯვებები რუსეთის წარმომადგენელ ი. ქარკოვსკისთან, ფრანგ ზალესთან (აშკარა უპირატესობით პირველსავე რაუნდში), უკრაინელ ო. ბელკოვთან, ფინალში კი მისი მეტოქის, თურქ ერდალ ზაკიკაზის სეკუნდანტმა, კაპიტულაციის ნიშნად, რინგზე პირსახოცი გადმოაგდო...

ორი გამარჯვებით დაიწყო წინსვლა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, გორის ეკონომიკის ინსტიტუტის სტუდენტმა, 17 წლის გიორგი კანდელაკმა (91 კგ). ნახევარფინალური ორთაბრძოლა მან საფრანგეთის გუნდის წევრ, გამოცდილ ზანგ მოკრივე მედისთან დათმო და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. „ბრინჯაო“ მოიპოვა ქვემსუბუქი წონის კობა გოგოლაძემაც, რომელიც ნახევარფინალში საეჭვოდ დამარცხდა თურქ ვანდეთინ იზბიერთან.

— ათათურქის ტურნირზე საქართველოს მოკრივეების დებიუტი შარშანწინ შედგა და იგი ოთხი ოქროს მედლით აღინიშნა, — თქვა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ს. ბერძენიშვილმა, — მაგრამ მაშინ ეს ასპარეზობა, რომელიც იუნიორთათვის იყო განკუთვნილი, ასეთი ძლიერი შემადგენლობისა არ გახლდათ. ახლა კი მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები და პრიზიორები, რომელთაც ბარსელონის ოლიმპიადის წინ, ძალთა გამოცდის შესაძლებლობა მიეცათ. თუ ღმერთმა ინება და ესპანეთის რინგზე გამოსვლა მოგვიხდა, არ გავაწბილებთ ჩვენს გულშემატკივრებს. ამის იმედს იძლევა ანკარის რინგზე ჩვენი ბიჭების მიერ მოპოვებული 3 ოქროს მედალი. საქმე ის არის, რომ ამ მხრივ მხოლოდ ასპარეზობის მასპინძლებმა გაგვისწრეს, რომელთა ანგარიშზეა 4 უმაღლესი ჯილდო. საფრანგეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ბულგარეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლებზე თითო „ოქრო“ მოდის.

განსაკუთრებით უნდა გამოვყო პაატა გვასალია, რომელიც ამჟამად ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია და 1991 წლის სეზონში ორი დიდი გამარჯვება იზეიმა — ერთი საქართველოს სპორტულ თამაშებზე ფორუმში, სადაც დაამარცხა სსრ კავშირისა და ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონი თბილისელი კახაბერ ბარავი, ანკარაში კი, შარშანდელი ავსტრალიის მსოფლიო პირველობის გამარჯვებულ ფრანგ მოჟენს აწვნია დამარცხების სიმწარე.

— ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, გვასალიას მაღალ კლასზე მეტყველებს, — დასძინა ცნობილმა არბიტრმა ვახტანგ ყველიაშვილმა, რომელიც ათათურქის ტურნირზე მსაჯად იყო მიწვეული, — პაატა იყო ერთადერთი უცხოელი მოკრივე, რომლის სარბიელზე გამოჩენას თურქი მაყურებლები ტაშით ხვდებოდნენ. ასეთ პატივს ისინი მხოლოდ თავისიანებს მიაგებენ ხოლმე.

სხვათა შორის, ამ მოკრივემ სპეციალისტებზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კერძოდ, ემილ ჟეჩევმა თქვა, რომ გვასალიასთანა მოკრივე კიდევ რომ გყავდეთ, საქართველოს გუნდი ევროპის პირველობაზეც იტყოდა თავის სიტყვასო.

თუ ეს მოხდება, კონტინენტის ჩემპიონატიდან უფრო ხელმისაწვდომი იქნება თქვენთვის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა. ასე რომ, ამაზე ქართველებს სერიოზული ზრუნვა გმართებთო.

კრივის მოყვარულებს ისიც უნდა ვაუწყო, რომ დარბაზში გამოგვემცხაურა ქართველთა სათვისტომოს წევრი რეფაიდინ შაჰინი (ლორთქიფანიძე). იგი თურქეთის სწორი გზის მაჩვენებელი პარტიის ხელმძღვანელია, ამავე დროს, პარლამენტის წევრი და სპორტის მინისტრი. მან შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩვენი დელეგაციის ცხრამეტივე წევრი მიგვიწვია სათვისტომოში, სადაც გაგვიმართეს სალამო. გამოითქვა აზრი, რომ ჩვენი ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდეს. კერძოდ, ქართველ მოკრივეებს სისტემატურად მიიწვევენ თურქეთის ღია პირველობებზე.

ჭ. უნჭიაძე

გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე: მარცხნივ — თენგიზ მესხაძე (ცენტრში), მარჯვნივ — ზურაბ სარსანია (ცენტრში).

ახალი ასოციაცია, ახალი პრობლემები

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ 11 იანვარს, მოსკოვში შეიქმნა ახალი საფეხბურთო გაერთიანება: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფეხბურთის ფედერაციათა ასოციაცია. ამ ახალი საფეხბურთო ორგანიზაციის შექმნას ხელი მოაწერეს რუსეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის, აგრეთვე, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის წარმომადგენლებმა.

რას წარმოადგენს ეს ახალი ასოციაცია? ეჭვს არ იწვევს, რომ ესაა დროებითი, ხელოვნურად ჩამოყალიბებული კონგლომერატი, რომელიც გარკვეული დროის პერიოდში, მხოლოდ კონიუნქტურულ ვითარებაშია შექმნილი. ახალ ასოციაციაში არ შევიდნენ უკრაინა, სომხეთი და მოლდოვა, რომლებმაც, საქართველოსა და ლიტვის ფედერაციათა მაგალითისამებრ, გადაწყვიტეს საკუთარი, დამოუკიდებელი ჩემპიონატების ჩატარება.

გადაწყდა, წლეულს ჩატარდეს ახალი ჩემპიონატი, რომლის მონაწილე გუნდები წილისყრით 2 ჯგუფად არიან დაყოფილნი, თითოეული 11 გუნდის შემადგენლობით.

„ა“ ჯგუფი: 1. „პამირი“ (დუშანბე), 2. „ნეფტიანიკი“ (ფერგანა), 3. „ალგა“ (ბიშკეკი), 4. „კოპეტდაგი“ (აშხაბადი), 5. „ნეფთჩი“ (ბაქო), 6. „სპარტაკი“ (მოსკოვი), 7. „დინამო“ (მოსკოვი), 8. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), 9. „ტილიგული“ (ტირასპოლი), 10. „ზენიტი“, (სანკტ-პეტერბურგი), . 11. „ლოკომოტივი“ (ნიჟნი ნოვგოროდი).

„ბ“ ჯგუფი. 1. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი), 2. „ნავბახორი“ (ნამანგანი), 3. „ქაირათი“ (ალმა-ათა), 4. „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი), 5. „დინამო“ (სოხუმი), 6. ცსკა, 7. „ტორპედო“ (მოსკოვი), 8. „დინამო“ (მინსკი), 9. „როტორი“ (ვოლგოგრადი), 10. „ურალმაში“, (ეკატერინბურგი), 11.. „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი).

შეჯიბრება გაიმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, 1 მარტიდან 30 ივლისამდე, მეტოქეები ერთმანეთთან ითამაშებენ ორ წრედ. თითოეულ ჯგუფში . გამოვლინდება 5-5 საუკეთესო გუნდი. ეს ათეული შემდგომში ბრძოლას საბოლოო ადგილებისთვის გააგრძელებს ასევე ორწრიან ტურნირში, ამასთან, „ა“ ჯგუფის გუნდები შეხვდებიან „ბ“ ჯგუფის გუნდებს. დანარჩენი 12 გუნდი იგივე სისტემით გაითამაშებს მე-11-22-ე ადგილებს. შეჯიბრებას სამერმისოდ არ გამოეთიშება არც ერთი გუნდი, თუმცა, ყოველ ფედერაციას უფლება აქვს, შეცვალოს თავისი გუნდი რესპუბლიკის ჩემპიონით.

ახლავე შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა დონისა იქნება ეს ახალი ჩემპიონატი. ყოველ შემთხვევაში, ფრიად საეჭვოა, ფერგანის, ტირასპოლის, ნიჟნი ნოვგოროდის, ნამანგანის, ეკატერინბურგისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის წარმომადგენელთა გუნდების თამაშის კლასი, მაგრამ მსგავსი შეუსაბამობანი ადრეც არაერთხელ მომხდარა აწ უკვე ყოფილ საბჭოთა ფეხბურთში. ყოველ შემთხვევაში, კარგად გვახსოვს, 1960-1961 წლები, როცა საბჭოთა ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში ასევე ერთი ხელის მოსმით, თვითნებურად შეიყვანეს 22 გუნდი, მათი სპორტული ძალა კი ფრიად განსხვავებული იყო.

პლენუმზე აზრი გამოითქვა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ შესაძლოა შექმნას ე. წ. ევროპულ-აზიური კონფედერაცია, რომელშიც შევლენ ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკები, აგრეთვე, ფინეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ჩრდილოეთ კორეის, მონღოლეთისა და სხვა სახელმწიფოთა გუნდები.

ერთი სიტყვით, ახალ ასოციაციას უამრავი პრობლემა აქვს, მაგრამ ამას გარდა, საქმე არც ინტრიგების გარეშე დამთავრებულა. საფეხბურთო ფუნქციონერთა ერთმა ჯგუფმა სახელდახელოდ შექმნა რუსეთის ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც სათავეში ჩაუყენა სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კავაზაშვილი. ახალმა ორგანიზაციამ მიიჩნია, რომ მხოლოდ მას აქვს უფლება, ითანამშრომლოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციასთან, ამიტომაც, გაუქმებულად მიიჩნია, რუსეთის ის ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ნირკოვი. მაგრამ ამ ახალ გაერთიანებაში შესვლა არ სურთ ცსკა-ს, მოსკოვის „დინამოს“, „სპარტაკსა“ და „ტორპედოს“, აგრეთვე, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“. ერთი სიტყვით, ორი ფედერაცია ებრძვის ერთმანეთს.

განცალკევებული პოზიცია უკავიათ უკრაინელებს, რომლებიც დღე-დღეზე ელიან ფეხბურთის საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებში გაწევრიანებას და საკუთარი ჩემპიონატის ჩატარებაც აქვთ დაგეგმილი. მაგრამ ამავე დროს, უკრაინელი ფეხბურთელები არ გასულან ძველი საკავშირო ნაკრები გუნდების შემადგენლობიდან და მონაწილეობას მიიღებენ ევროპის 1992 წლის ჩემპიონატის ფინალში, ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში და 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში.

დაუშვეს...

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ და ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა ერთობლივად განაცხადეს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (ყოფილი სსრ კავშირი) და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს ნება დართეს მონაწილეობა მიიღონ 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ თამაშებზე შვეციაში. ფინალური ტურნირის წილისყრა 17 იანვარს მოეწყობა გეტებორგში.

გასულ ორშაბათს ფიფამ და უეფამ ციურიხში ერთობლივად აღიარეს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფეხბურთის ასოციაცია, რომელიც 11 იანვარს შეიქმნა მოსკოვში, წარმოადგენს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის კანონიერ მემკვიდრეს. — ამის საფუძველზე, — ნათქვამია კომუნიკეში, — ახალ ასოციაციას შეეძლება მონაწილეობა მიიღოს 17 იანვარს გეტებორგის წილისყრაში. იმ ტერიტორიების ფეხბურთელებს, რომლებც უწინ შედიოდნენ ყოფილი სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში, უფლება ეძლევათ, ითამაშონ ახალი თანამეგობრობის ნაკრებში.

რაც შეეხება იუგოსლავიას, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია და ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი აღნიშნავენ, რომ ამ ქვეყნის ფედერაცია „ჯერ კიდევ საქმიანობს და იუგოსლავიელთა გამოსვლა ევროპის ჩემპიონატის ფინალში არ შეიძლება ეჭვს იწვევდეს“. ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, ამ ნაკრებში, თამაშის უფლებას ინარჩუნებს ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის იურისდიქციაში იმყოფება.

კომუნიკეში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ ფიფა და უეფა ინარჩუნებენ უფლებას „მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებანი, თუ მომავალში ვითარება შეიცვლება“.

ფეხბურთის ამბები

ისრაელში ამ დღეებში გაიმართა 18 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა ფეხბურთელები, რომლებმაც წააგეს პორტუგალიის (1:2), შვეიცარიის (0:2), ისლანდიის (0:3) გუნდებთან, ფრედ (2:2) დაამთავრეს თამაში მხოლოდ საბერძნეთის ნაკრებთან და „ბ“ ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. „ა“ ჯგუფში (ისრაელი, ბელგია, ლიხტენშტეინი, ვიპროსი, ჩეხოსლოვაკეთი) ქულათა თანაბარი რაოდენობა (7-7) მოაგროვეს ისრაელისა და ბელგიის გუნდებმა. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით წარმატება ისრაელის ნაკრებმა მოიპოვა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჯგუფებში გამარჯვებულნი — პორტუგალიისა და ისრაელის გუნდები. მატჩი მოიგეს პორტუგალიელებმა — 4:0.

● **გერმანიის** ქალაქ შტუტგარტის სპორტულ დარბაზში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დანიის „ბრონდბიუ“ და გერმანიის „კიოლნი“. გაიმარჯვა „ბრონდბიუმ“ — 5:3. ტურნირის მონაწილე კიევის დინამოელებმა წინასწარ ჯგუფში მარცხი იწვნიეს „შტუტგარტერ კიკერსთან“ — 0:3.

● **გერმანიაში** სტუმრად იმყოფებოდა მოსკოვის „სპარტაკი“, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქ. ბაიროითში გამართული მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში. სპარტაკელები დამარცხდნენ ჯერ „ნიურნბერგთან“ — 5:6, შემდეგ დანიის „ბრონდბიუსთან“ 1:2.

ამის შემდეგ „სპარტაკი“ გაემგზავრა გერმანიის ქალაქ ესენში, სადაც მინიფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში შეხვდა გერმანიის „ვატენშაიდს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 5:1.

● **ყოფილი** სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელები კვლავინდებურად უცხოეთის გუნდებისაკენ მიილტვიან. მოსკოვის „სპარტაკის“ მოთამაშე. ა. მოსტოვოისთან მოლაპარაკებას მართავს გერმანიის ქალაქ ლევერკუზენის „ბაიერი“. ცსკა-ს ფეხბურთელები: ი. კორნეევი და დ. გალიამინი ახალი სეზონიდან, ალბათ, ითამაშებენ ესპანეთის „ესპანიოლში“ (ბარსელონა), ხოლო ვ. ტატარჩუკი გადავიდა პრაღის „სლავიაში“. საინტერესოა, რომ „სლავიის“ მფლობელი 1992 წლიდან გახდა კალიფორნიელი მილიონერი, წარმოშობით ჩეხი ბორის კორბელი, რომლის მეცადინეობითაც ეს კლუბი რამდენიმე ძლიერი უცხოელი ფეხბურთელის შესყიდვას აპირებს.

● **ავსტრიის** ჩემპიონი და თასის მფლობელი „აუსტრია“ (ვენა) იწვევს ლიტველ ფეხბურთელებს. როგორც „აუსტრიის“ მწვრთნელმა ჰერბერტ პროხაზკამ განუცხადა გაზეთ „კურირის“ კორესპონდენტს, მას განზრახული აქვს შეიძინოს „ჟალგირისის“ 24 წლის ფეხბურთელი რ. ფრიდრიკასი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ი. ივანაუსკასთან და ი. ნარბეკოვასთან ერთად კლუბის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იქნება. გარდა ამისა, ვენის ამ კლუბს სურს თავისი ახალგაზრდული შემადგენლობის მწვრთნელად მიიწვიოს ცნობილი ლიტველი სპეციალისტი ბენიამინას ზელკიავიჩუსი.

● **სანკტ-პეტერბურგის** „ზენიტმა“ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი წააგო საფრანგეთის „ჰავრთან“ — 1:2.

● **საფრანგეთის** ქალაქ ტრევოში მინსკის დინამოელებმა ანგარიშით 8:0 დაამარცხეს ამ ქვეყნის ცნობილი კლუბი „ლიონი“.

ოკლე ცნობები

● **ალბერვილის** ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა განცხადებით დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის სპორტსმენთა გამარჯვების შემთხვევაში შესრულდება არა ყოფილი სსრკ-ის ან რუსეთის ჰიმნები, არამედ ბეთჰოვენის „სიხარულის ოდა“, რომელიც აღიარებულია ოლიმპიურ ჰიმნად.

● **ზამთრის** თამაშების სინოპტიკოსთა სამსახურის ცნობით ალბერვილში თამაშების დღეებში დიდი თოვლია მოსალოდნელი, რაც საგრძნობლად შეაფერხებს ტრანსპორტის საქმიანობას და ერთმანეთისგან გათიშავს ოლიმპიურ ობიექტებს.

● **როგორც** ცნობილია, სწრაფდაშვების ოლიმპიური ტრასა, რომელიც მოწყობილია საკურორტო ქალაქ ვალ დ'იზერის მიდამოებში, იმდენად რთულია, რომ შეჯიბრების ბევრმა მონაწილემ. შეიძლება ვერც დაამთავროს. ტრასა გაიყვანა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შვეიცარიელმა ბერნარ რუსიმ, ხოლო მოიწონა ალბერვილის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა თანაპრეზიდენტმა, 1968 წლის თეთრი ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონმა ჟან კლოდ კილიმ. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ასეთ ტრასაზე გამარჯვება მთლიანად სპორტსმენის ტექნიკასა და ოსტატობაზე იქნება დამოკიდებული და არა ინვენტარის ხარისხზე.

● **ოლიმპიადის** გახსნამდე ნახევარი თვით ადრე (თამაშები ალბერვილში, მოგეხსენებათ, 8 თებერვალს იხსნება) 800 ათასი ბილეთიდან უკვე გაიყიდა 610 ათასი.

● **ყველაზე** ადრე ბილეთები გასაღდა სამთომთხილამურეთა და ფიგურისტთა შეჯიბრებებზე, აგრეთვე, ჰოკეისტთა ტურნირის ფინალურ მატჩზე.

● **სხვადასხვა** შეჯიბრებაზე ბილეთების ფასი სხვადასხვანაირია. ორჭიდელთა ტურნირზე დასწრება, მაგალითად, ღირს 60 ფრანკი (11 დოლარი და 50 ცენტი), ფიგურისტთა შეჯიბრებებზე კი 1000 ფრანკი. ყველაზე ძვირია ბილეთები თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე — 1500 ფრანკი.

● **ოლიმპიადის** ორგანიზატორთა განცხადებით, ზამთრის თამაშებში მონაწილეობას მიიღებს 60 ქვეყნის 2 ათასამდე სპორტსმენი.

● **პოლონეთის** სპორტული საზოგადოებრიობა უკმაყოფილოა იმის გამო, რომ დღემდე ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში უშფოთველად არიან მოკალათებულნი ის ფუნქციონერები, რომლებიც კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ქვეყნის სპორტსმენების ლოს-ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისა.

ჩოგბურთის გლადიატორი

როგორ შეიძლება დაბადების დღის აღნიშვნა? ამის ბრწყინვალე საშუალება აირჩია ჯიმი კონორსმა: 2 სექტემბერს, ოცდაცხრამეტი რომ შეუსრულდა, მოიგო ამერიკის ღია ჩემპიონატის მარათონული მატჩი. ვეტერანმა კორტზე ოთხი საათი და ორმოცდაორი წუთი დაჰყო და საბოლოოდ დაჯაბნა თხუთმეტი წლით უმცროსი თანამემამულე აარონ ქრიქშტეინი. „საკუთარმა საჩუქარმა“ ჯიმის „დიდი მუზარადის“ სერიის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ნახევარფინალში გასვლის შანსი არგუნა.

ოცი ათასი გულშემატკივარი, ფეხზე ამდგარი მქუხარე ოვაციებითა და სიმღერით მიესალმა უზომოდ დაღლილ კონორსს.

— იმაზე დიდი სიხარული რაღა უნდა იყოს, თუ არა ასეთი დაძაბული ორთაბრძოლის მოგება. ეს იყო ნამდვილი ომი, რომელშიც გავიმარჯვე, — უთხრა ჟურნალისტებს ჯიმიმ. — ამას გარდა, ხომ ნახეთ: მაყურებელი მე მიჭერდა მხარს, ე.ი. არ უნდოდათ ტურნირიდან ჩემი გამოთიშვა. განა შემეძლო, მათთვის თანაგრძნობა არ გამეწია?



ჯიმი კონორსი.

ამის შემდეგ ამერიკა ნამდვილმა საჩოგბურთო ციებ-ცხელებამ მოიცვა. თვით ამერიკელი მძლეოსნების მიერ ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე დამყარებული ფენომენური რეკორდებიც კი ჩრდილში მოექცა. კონორსის ფოტოსურათებმა მთლიანად დაიპყრო ნიუ-იორკის გაზეთების პირველი გვერდები. სატელევიზიო ახალი ამბები იწყებოდა რეპორტაჟებით მის შესახებ. — ვერ წარმომიდგენია, დღეს ჯიმის გარდა, სხვა რაიმეზე ლაპარაკი, — ასე გამოხატა საერთო აზრი პოპულარულმა ტელერეპორტიორმა ჯონ ლინდენმა.

კონორსის მომდევნო მატჩს პოლანდიელ პაულ ჰარჰუისთან (სწორედ მან გამოთიშა იმ ტურნირიდან ბორის ბეკერი) სარეკორდო რეიტინგი — 7,3 ჰქონდა. და, ალბათ, კანონიერია, რომ ამ ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ „ფლეშინგ მედოუს“ სტადიონზე აფრიალდა პლაკატი ასეთი წარწერით: „კონორსი — თეთრ სახლში!“

მართალია, ვეტერანმა ვერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი — ნახევარფინალში დამარცხდა ოცდაერთი წლის თანამემამულე ჯიმ კურიესთან (სხვათა შორის, როცა კონორსი პირველად გამოვიდა ასეთ ტურნირში, მაშინ მისი სეხნია მხოლოდ ორი კვირისა გახლდათ) — იგი მაინც გამარჯვებულ სტეფან ედბერგთან ერთად ერთხმად აღიარეს შეჯიბრების მთავარ გმირად. ნუ დაგვავიწყდება, რომ კონორსის ბრწყინვალე კარიერას, რომლის მანძილზე მოიგო 107 ტურნირი (ამ რეკორდს ჯერაც ვერავინ მიუახლოვდა), მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ხუთი ჩემპიონატი, უიმბლდონის ორი და ავსტრალიის ერთი პირველობა — დასრულებულად მიიჩნევდნენ.

ჯიმის ნიჭმა კი ადრე, ჯერ კიდევ მოზარდთა შეჯიბრებებში იჩინა თავი. როცა იგრძნო, რომ ჩოგბურთი მისი ცხოვრების არსი უნდა გამხდარიყო, 1972 წელს თავი დაანება კალიფორნიის უნივერსიტეტში სწავლას, პროფესიონალი სპორტსმენი გახდა და უკვე ორიოდე წლის შემდეგ ბედნიერი ხანა დაუდგა: 1974 წელს 103 ორთაბრძოლიდან 99 შეხვედრა მისი გამარჯვებით დასრულდა, მოიგო უიმბლდონის, ამერიკისა და ავსტრალიის ჩემპიონატები, მსოფლიოს პირველი ჩოგანის ტიტული დაიმსახურა.

— არ ვიცი, შეძლებს კი ვინმე, იმგვარად თამაშს, როგორც მე იმ წლიწადს, — ამბობს ჩოგბურთელი. — ვცდილობდი ისე მეთამაშა, თითქოს თითოეულ ბურთს უნდა გადაეწყვიტა მატჩის ბედი.

სხვა საქმეებიც კარგად მისდიოდა ჯიმის: სწორედ იმ დროს დაიწყო მისი და ჩოგბურთის ვარსკვლავის კრის ევერტის რომანი. მომდევნო წელს კი ისე მოხდა, რომ მან სამივე ტიტული დაკარგა და, რაც ყველაზე საწყენია, სამივე გადამწყვეტ მატჩებში დათმო. სხვა თუ ფინალში გასვლასაც იშვიათ წარმატებად მიიჩნევდა, კონორსმა განაცხადა: „მეორე ადგილი იგივეა, თუნდაც მეორასე ყოფილხარ, ამაში სხვაობას ვერ ვხედავ“.

საერთო აზრით, ჯიმი მაშინ მოეშვა. მწვერვალთა ადგილად დამკვიდრებამ ახალი მეგობრების საზოგადოებაში გართობა-დასვენება რომ გადააწყვეტინა. ამას თვითონაც არ მალავს: „ამას ვაკეთებდი, რაზეც რამდენიმე წლის განმავლობაში უარს ვამბობდი. მერე კი დავრწმუნდი, რომ ორი-სამი კვირის წინანდელი გართობები, კორტზე ყველაზე გადამწყვეტ მომენტებში იჩენდა ხოლმე თავს“.

ის მწარე გაკვეთილი ჯიმიმ სამუდამოდ დაიმახსოვრა. მიხვდა, რომ თვით უიშვიათეს ნიჭსაც კი არჩეული ხელობის ფანატიკური ერთგულებით შევსება სჭირდება.

მიუხედავად იმისა, რომ „დიდი მუზარადის“ უკანასკნელი ტურნირი კონორსმა 1983 წელს მოიგო, იგი დღემდე რჩება ჩოგბურთის გულშემატკივართა კერპად — ყოველ შემთხვევაში, ასეა ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მას ეროვნულ გმირს უწოდებენ. ამაოდ მიაჩნდა ზოგიერთს, რომ, როცა მისი თამაშის დონე დაქვეითდებოდა, ჯიმი უარს იტყოდა კორტზე გამოსვლაზე, მაგრამ, ეს ასე არ მოხდა.

— აღარ მჭირდება ვისმესთვის რაიმეს დამტკიცება, — ამბობს სპორტსმენი, — მსოფლიო რეიტინგი არ მაინტერესებს, უბრალოდ, მინდა ბრძოლით ვისიამოვნო. მხოლოდ ჩემი თამაშის ხარისხი არ მომწონს.

სხვათა შორის, ახალგაზრდობაში იგი სულაც არ ფიქრობდა ასეთ სპორტულ ხანდაზმულობაზე. მისი თქმით, მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ოცდაშვიდი წლის შემდეგ ისევ გააგრძელებდა თამაშს. ხანდაზმულობის რეკორდსმენად ავსტრალიელი კენ როზუოლი ითვლებოდა, რომელიც ოცდაათი წლის შემდეგაც ჩინებულად თამაშობდა. ეს ჯიმიმაც შეძლო. მაგრამ, ცხადია, ასაკი მაინც თავისას შვრება.

...ხუთი წლის წინათ „ჯამბომ“ (ჯიმის ეს მეტსახელი ჭაბუკობისას შეარქვეს) პირველად განაცხადა, რომ დროა, ჩოგანი შალითაში შეინახოს. იქნებ, სწორედ ახლა დაუდგა ლამაზად წასვლის დრო, მაყურებელთა მხურვალე ოვაციებს და მეტოქეების აღფრთოვანებულ მილოცვებს რომ გაიყოლიებს, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, დაღლილი „ჩოგბურთის გლადიატორი“, ტრავმების მოშუშების შემდეგ ისევ გამოჩნდეს კორტზე და, ეჭვი არ არის, კვლავ გავიგებთ მის საოცარ გამარჯვებათა შესახებ.

მოამზადა ბელა ჯილაურმა.

ვლადიმერ ბარნაბიშვილი

ის საერთო სიყვარულით და პატივისცემით გარემოცული პიროვნება იყო. დადიოდა ჩვენს შორის თბილი, რაინდული ბუნების, ღირსეული ადამიანური თვისებებით შემკული კაცი. წესიერად ვერც კი დავიტირეთ, დღეები იყო ისეთი...

ვ. ბარნაბიშვილის სახელი დიდი ხნის წინათ დაუკავშირდა ქართულ სპორტს — წყალბურთს. მოხალისედ ომში წასული და შემდეგ შინ დაბრუნებული ძირითადად განათლების სამინისტროს სისტემაში მუშაობდა, ამზადებდა ნორჩ წყალბურთელებს, რომლებიც ღირსეულ ადგილს იკავებდნენ ოსტატთა გუნდებში, მის მიერ მომზადებული მოზარდთა ნაკრები გუნდები კი წარმატებით გამოდიოდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე, რისთვისაც მას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

სადაც კი უმუშავნია ვ. ბარნაბიშვილს, მწვრთნელად თუ მეთოდისტად, ყველგან გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმით, მინდობილი საქმისადმი სამაგალითო სიყვარულით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში დაინვალიდდა, საქმე არ მიუტოვებია, 67 წლის კაცი კვლავ ძველებური ხალისით და ენერგიით ილვწოდა ქართული სპორტის სასიკეთოდ.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი უპრეტენზიო თბილისელი, შესანიშნავი აღმზრდელი, პიროვნება, რომელთან შეხვედრა მუდამ სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანებს.

საქართველოს წყალბურთის ფედერაცია, განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა წყალბურთის სპეციალიზებული სკოლა.

ანგელოზი კორტზე

მელბურნი. „დიდი მუზარადის“ პირველი ტურნირი — ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელის შტეფი გრაფის ექიმის სენსაციური განცხადებით დაიწყო: გერმანელი სპორტსმენი ვერ გამოვა კორტზე სათამაშოდ, ვინაიდან მას გრიპი დაემართა. ამ ცნობამ იუგოსლაველი მონიკა სელეშის შანსები ერთი-ორად გაზარდა. რაც უნდა იყოს, ავსტრალიის სამგზის ჩემპიონის (1988-1990 წ.წ.) უბრძოლველად ჩამოცილება გზიდან დიდი საქმეა.

სელეშმა სასტარტო შეხვედრა იაპონელ აკიკო კიიამუტასთან ადვილად მოიგო — 6:2, 6:0. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ფრანგი ჩოგბურთელების გი ფორჟესა და ანრი ლეკონტის ორთაბრძოლა პირველ ტურში. გაიმარჯვა უფრო ახალგაზრდა ფორჟემ — 2:6, 6:4, 6:7, 6:4, 6:3.

ავსტრალიის ღია ჩემპიონატში თამაშის უფლება ორი წლით წართმეული ჰქონდა ამერიკელ ჯონ მაკინროუს. ეს სასჯელი მან კორტზე ჩხუბისა და უდისციპლინობისთვის დაიმსახურა. დისკვალიფიკაციის ვადა დამთავრდა და, როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, სასტარტო შეხვედრაში მაკინროუ ანგელოზს ჰგავდა. მან ისე დაამარცხა ავსტრალიელი ბროდ დიუკი, რომ ერთხელაც არ ამოუღია ხმა — 6:2, 6:0, 6:1.

ჯერ ნახევარფინალები ● კალათბურთი

კალათბურთელთა ევროპის საკლუბო ტურნირებზე, რომლებიც წლეულს ახლებურად ტარდება, ნახევარფინალური შეხვედრები მიმდინარეობს. ეს არის გათამაშების პირველი ეტაპი. შემდეგ ჯგუფებში პირველ ოთხ ადგილზე გასული კოლექტივები ფინალისტთა ჯგუფს შექმნიან, სადაც განაწილდება ტურნირის პრიზები.

ევროპის თასი საკლუბო გუნდებისთვის. პირველი ჯგუფი. „ბერლინი“ (გერმანია)-„ოსტენდე“ (ბელგია) 90:121, „ლიმოჟი“ (საფრანგეთი)-„ვერონა“ (იტალია) 89:92, „პაოკი“ (საბერძნეთი)-„მაკაბი“ (ისრაელი) 97:92.

ლიდერები: „ვერონა“ და „პაოკი“ — 11-11 ქულა თითოეულს.

მეორე ჯგუფი. „ბენფიკა“ (პორტუგალია)-„ლიუბლიანა“ (იუგოსლავია) 88:91, „რეალი“ (ესპანეთი)-„ჰაპოელი“ (ისრაელი) 106:100, „ორტეზი“ (საფრანგეთი)-„პანიონიოსი“ (საბერძნეთი) 76:101. ლიდერია „რეალი“, რომელსაც 11 ქულა აქვს.

ევროპის ჩემპიონატი საკლუბო გუნდებისთვის. პირველი ჯგუფი. „კაზერტა“ (იტალია)-„მაკაბი“ (ისრაელი) 105:102, „სპლიტი“ (იუგოსლავია)-„ბოლონია“ (იტალია) 80:85, „ბარსელონა“ (ესპანეთი)-„ანტიბი“ (საფრანგეთი) 85:78, „კალევი“ (ესტონეთი)-„ციბონა“ (იუგოსლავია) 80:91.

მეორე ჯგუფი. „მადრიდი“ (ესპანეთი)-„ბადალონა“ (ესპანეთი) 66:91, „ფილიპსი“ (იტალია)-„მაესი“ (ბელგია) 97:68, „ბაიერი“ (გერმანია)-„არისი“ (საბერძნეთი) 89:103, „პარტიზანი“ (იუგოსლავია)-„ჰელდერი“ (ჰოლანდია) 81:75.

კორაჩის თასი. პირველი ჯგუფი. „რესინგი“ (საფრანგეთი)-„სკავოლინი“ (იტალია) 64:93, „ჰაპოელი“ (ისრაელი)-აეკი (საბერძნეთი) 80:88.

მეორე ჯგუფი. „სარაგოსა“ (ესპანეთი)-„პანათინაიკოსი“ (საბე-

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ქაღალდის დეფიციტის გამო „ლელო“ დროებით გამოდის კვირაში სამჯერ — სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია სამძიმარს უცხადებს სპორტის დამსახურებულ ოსტატს რამაზ ხარშილაძეს მამის გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ რედაქცია განუხრელად ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრესის კანონით.
„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები: მ. ძეძამიძე, ქ. ქავთარაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
ტელეგრამებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
სამდივნო — 98-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54
[illegible] — 98-97-20, „მორიგე“ — 99-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, [illegible], 29.
2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.